ოქმი N3

ხობის მუნიციპალიტეტის მესამე მოწვევის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

ქ. ხობი 2017 წლის 30 იანვარი

ბიუროს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 14

ბიუროს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 14

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

1. ედიშერ ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა სიჭინავა
4. ტარიელ ალექსანდრია
5. დოდო გაბუნია
6. ნუგზარ შუშანია
7. ლაშა ცატავა
8. ლევან ქავთარაძე
9. როსტევან გვარამია
10. ედიშერ წურწუმია

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერ ჯობავა – საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2017 წლის 26 იანვრის N04/204 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო - სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე);

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ნ. შუშანიას 2017 წლის 27 იანვრის N3/04 განცხადების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა);

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - სამანდატო - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

3. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2017 წლის 27 იანვრის N05/226 წერილის განხილვა („არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ა(ა)იპ ხობის

მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივების ჩამოწერაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

4. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2017 წლის 30 იანვრის N06/243 წერილის განხილვა („ქალაქ ხობში ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირებისა და საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ" დადგენილების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

5. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2017 წლის 30 იანვრის N06/244 წერილის განხილვა („სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შესახებ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 7 მარტის N26 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

6. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის 2017 წლის სამუშაო გეგმის განხილვა";

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

7. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის 2017 წლის სამუშაო გეგმის განხილვა";

(მომხსენებელი: ლ. ცაბავა - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

8. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის 2017 წლის სამუშაო გეგმის განხილვა";

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

9. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის 2017 წლის სამუშაო გეგმის განხილვა";

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო - სარევიზიო

კომისიის თავმჯდომარე);

10. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2017 წლის სამუშაო გეგმის განხილვა“.

(მომხსენებელი: დ. გაბუნია - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2017 წლის 26 იანვრის N04/204 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო - სარევიზიო

კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ტ. ალექსანდრია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება შემდეგი სახის ცვლილება: მცირდება ბიუჯეტის ხარჯები, „სოციალური დახმარება“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სოციალური დახმარება“ ასიგნება. ნაშთიდან ადგილობრივი ბიუჯეტის ასიგნებებში აისახება 1115,5 ათასი ლარი. სულ 1130,5 ათასი ლარი მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: 1,2 ათასი ლარი საკრებულოს ასიგნებებზე; 19,7 ათასი ლარი გამგეობის ასიგნებებზე; 1107,8 ათასი ლარი პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“ ასიგნებებზე, აქედან, 232,7 ათასი ლარი - ქვეპროგრამის „გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის“ ასიგნებაზე; 1,0 ათასი ლარი - ქვეპროგრამის „ხიდების, ხიდ-ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა“ ასიგნებაზე; 30,0 ათასი ლარი - ქვეპროგრამის „წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექპლუატაცია“ ასიგნებაზე; 777,6 ათასი ლარი ქვეპროგრამის „მუნიციპალიტეტში არსებული აქტივების რეაბილიტაცია“ ასიგნებაზე; 45,0 ათასი ლარი -

ქვეპროგრამის „სანიაღვრე არხების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“ ასიგნებაზე; 21,5 ათასი ლარი - პროგრამის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ მუხლის „არაფინასური აქტივების ზრდა“ ასიგნებაზე; 1,8 ათასი ლარი ქვეპროგრამის „მოსწავლე-ახალგაზრდობის კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის ხელშეწყობის პროგრამა“ ასიგნებაზე. ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 აპრილის N15 დადგენილების შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობლის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა, ანუ შემოსულობების გეგმა შეადგენს 8243,8 ათას ლარს. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის წარმოდგენილის სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო – საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ნ. შუშანიას 2017 წლის 27 იანვრის N3/04 განცხადების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა);

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - სამანდატო - საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ნ. შუშანია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ კომისიის მიერ მომზადდა საკრებულოს 2017 წლის სამუშაო გეგმა საკრებულოს კომისიების წლიური გეგმისა და გამგეობის მიერ 2017 წელს

მოსამზადებელი პროექტების გათვალისწინებით, რომელიც გათვლილია კვარტლების მიხედვით. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

3. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2017 წლის 27 იანვრის N05/226 წერილის განხილვა („არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივების ჩამოწერაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: გ. სიჭინავა - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივების ჩამოწერაზე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელზე თანხმობის მიცემის შესახებ" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტით ითხოვენ გამგებლისთვის თანხმობას განათლების ცენტრის ბალანსზე რიცხული კომპიუტერების კომპლექტის ჩამოწერაზე. პროექტს თან ერთვის აუდიტის დასკვნები, სადაც აღნიშნულია, რომ პროექტში ჩამოთვლილი ქონება არ ექვემდებარება შეკეთებას და მათ არ გააჩნიათ საბალანსო ღირებულება. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილ განკარგულების პროექტში კომისიის მხრიდან შეტანილ იქნა გარკვეული კორექტივები და სამართლებრივი აქტი მოყვანილ კანონშესაბამისობაში„ კერძოდ: განკარგულების სათაური ჩამოყალიბდა შემდეგი შინაარსით: „ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის" ბალანსზე რიცხული ამორტიზებული

ქონების ჩამოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ", ხოლო განკარგულების პრეამბულა და პირველი პუნქტი შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი შინაარსით: „საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის, მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით, მე-3 პუნქტის, „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებისა და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზირებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 25 ივნისის N123 დადგენილების შესაბამისად: 1. მიეცეს თანხმობა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელს ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის" ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ქონების ჩამოწერაზე თანახმად დანართისა." განკარგულების პროექტში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები.

აზრი გამოთქვეს: მ. ქარდავა - გამომსვლელი დაინტერესდა, ხობის მუნიციპალიტეტის განათლებისა და კულტურის ცენტრების გაერთიანების შემდგომ რატომ გახდა აუცილებელი ჩამოთვლილი ტექნიკის ჩამოწერა?

ლ. ქავთარაძე - განაცხადა, რომ ყველა ჩამოსაწერ ქონებას თან ერთვის აუდიტის დასკვნა, რაც იმას ნიშნავს რომ უნდა დავეთანხმოთ ან თავიდან იქნეს გადამოწმებული.

ე. ჯობავა - აღნიშნა, რომ შეეძლოთ საკრებულოს სხდომაზე დაესვათ კითხვები გამგეობის შესაბამისი სამსახურისთვის და მიეღოთ ამომწურავი პასუხები.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

4. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2017 წლის 30 იანვრის N06/243 წერილის განხილვა („ქალაქ ხობში ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირებისა და საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ" დადგენილების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: გ. სიჭინავა - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ქალაქ ხობში ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირებისა და საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის განმარტებით, გამგეობაში შევიდა ქალაქ ხობში თამარ მეფის ქუჩაზე მცხოვრებთა და ყოფილი „უნივერმაღის“ საავჭრო ობიექტებში მომუშავე პირთა კოლექტიური განცხადება ქალაქში მოძრაობის მოწესრიგების მიზნით საგზაო ნიშნების განთავსების თაობაზე. გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ შესწავლილ იქნა საკითხი და მომზადდა დადგენილების პროექტი „ქალაქ ხობში ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირებისა და საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ“, რომლის საფუძველზეც საგზაო ნიშნები განთავსდება, შემდეგი თანმიმდევრობით: ა) თამარ მეფის სანაპიროს დასაწყისში (პირველი სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე) და ჯოჯუბაშვილისა და თამარ მეფის სანაპიროს კვეთაზე დამონტაჟდეს საგზაო ნიშანი ,,ღერძზე დატვირთვის შეზღუდვა “ 5 ტ. ზემოთ აკრძალულია (N3.12. - 2 ცალი);ბ) მეორე საჯარო სკოლის წინ, ქუჩის ორივე მხარეს დამონტაჟდეს საგზაო ნიშანი დგომა აკრძალულია; (N 3.28—2 ცალი);გ) შეიცვალოს ბერიას ქუჩაზე ცალმხრივი მოძრაობა; მოიხსნას ბერიას ქუჩაზე ც. დადიანის ქუჩის მხრიდან საგზაო ნიშანი ,,შესვლა აკრძალულია”და დამონტაჟდეს ბერიას ქუჩაზე თი-ბი-სი ბანკის მიმდებარე ტერიტორიაზე საგზაო ნიშანი „შესვლა აკრძალულია,” ც. დადიანის ქუჩის მიმართულებით, (N 3.1.--1 ცალი.) აგრეთვე ყოფილი უნივერმაღის შენობის უკან ტაქსების გამოსასვლელთან დამონტაჟდეს საგზაო ნიშანი მარცხნივ მოძრაობა ც. დადიანის ქუჩის მიმართულებით აკრძალულია (N 3,18,2,-- 1 ცალი); დ) შეიცვალოს 9 აპრილის ქუჩაზე ცალმხრივი მოძრაობა; მოიხსნას 9 აპრილის ქუჩაზე სტალინის ქუჩის კვეთასთან საგზაო ნიშანი მოძრაობა აკრძალულია და დამონტაჟდეს 9 აპრილის ქუჩაზე ც. დადიანის ქუჩის კვეთასთან. (N 3,2,--1 ცალი.); ვ) ჭყონდიდელისა და თ. ქაჯაიას ქუჩების გადაკვეთაზე ჭყონდიდელის ორივე მხრიდან დაემატოს საგზაო ნიშანი „სდექ” გაუჩერებლად გასვლა აკრძალულია (N 2,5-2 ცალი). გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ ისაუბრა საგზაო ნიშნების განთავსებასთან დაკავშირებით და აღნიშნა ხობის მაჟორიტარი დეპუტატის ირაკლი (დაჩი) ბერაიას წვლილზე საგზაო ნიშნების

მარეგულირებელ ნიშნებთან დაკავშირებით, რომელშაც ორ დაპირისპირებული მხარის (ტაქსის მძღოლები და ყოფილი „უნივერმაღის" შენობაში განთავსებული მაღაზიის მფლობელები) შორის გამონახა საერთო ენა და კონსესუსამდე მიიყვანა გამწვავებული საქმე საგზაო ნიშნების განთავსებასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები.

აზრი გამოთქვეს: ლ. ქავთარაძე - გამომსვლელი დაეთანხმა წინა გამომსვლელს მაჟორიტარი დეპუტატის წვლილზე, საგზაო ნიშნების დარეგულირებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, აქვს კითხვები, ქალაქში საგზაო ნიშნების განთავსებასთან დაკავშირებით, რომელსაც საკრებულოს სხდომაზე დაუსვამდა გამგეობის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებს.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

5. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2017 წლის 30 იანვრის N06/244 წერილის განხილვა („სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შესახებ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 7 მარტის N26 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: გ. სიჭინავა - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შესახებ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 7 მარტის N26 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ გამგეობის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის თანახმად ცვლილებები ხორციელდება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 7 მარტის №26 განკარგულებაში, კერძოდ საანგარიშო წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტის დასახლებებში მოსახლეობის მიერ პრიორიტეტულად მიჩნეული პროექტების განხორციელების პროცესში წარმოიშვა ეკონომია ჯამში 21457 ლარის ოდენობით, რომლითაც შესაძლებელია განხორციელდეს ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეულის N2 საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობის

სამუშაოები. აღნიშნული 21457 ლარიდან საპროექტო სახარჯთაღრიცხვო სამუშაოებისათვის გამოიყოფა - 600 ლარი, ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოებისათვის - 20857 ლარი. დაგეგმილი სამუშაოს მიხედვით დასახლებებისთვის გათვალისწინებული თანხების „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის №54 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად გადანაწილებისა და მიღებული ეკონომიის ფარგლებში დამატებით განსახორციელებელი სამუშაოებისთვის აუცილებელი თანხების შესაბამისი დასახლებებისთვის განაწილების მიზნით, დაკორექტირდა შესაბამისი მონაცემები, რაც ასევე იწვევს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 7 მარტის №26 განკარგულების დანართში სათანადო ცვლილების აუცილებლობას. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის წინადადების საფუძველზე, მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 7 მარტის №26 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

6. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის 2017 წლის სამუშაო გეგმის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. სიჭინავა - ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: გ. სიჭინავა - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის 2017 წლის სამუშაო გეგმა (ოქმს თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ სამუშაო გეგმასთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი კომისიის სამუშაო გეგმის დამტკიცების თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: დამტკიცებულ იქნეს საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის 2017 წლის სამუშაო გეგმა

7. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის 2017 წლის სამუშაო გეგმის განხილვა;

(მომხსენებელი: ლ. ცატავა - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ცატავა - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის 2017 წლის სამუშაო გეგმა (ოქმს თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ სამუშაო გეგმასთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი კომისიის სამუშაო გეგმის დამტკიცების თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: დამტკიცებულ იქნეს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის 2017 წლის სამუშაო გეგმა

8. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის 2017 წლის სამუშაო გეგმის განხილვა;

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ნ. შუშანია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის 2017 წლის სამუშაო გეგმა (ოქმს თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ სამუშაო გეგმასთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი კომისიის სამუშაო გეგმის დამტკიცების თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: დამტკიცებულ იქნეს საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო კომისიის 2017 წლის სამუშაო გეგმა

9. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის 2017 წლის სამუშაო გეგმის განხილვა";

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო - სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ტ. ალექსანდრია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის 2017 წლის სამუშაო გეგმა (ოქმს თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ სამუშაო გეგმასთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი კომისიის სამუშაო გეგმის დამტკიცების თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: დამტკიცებულ იქნეს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2017 წლის სამუშაო გეგმა

10. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2017 წლის სამუშაო გეგმის განხილვა".

(მომხსენებელი: დ. გაბუნია - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: დ. გაბუნია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2017 წლის სამუშაო გეგმა (ოქმს თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ სამუშაო გეგმასთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი კომისიის სამუშაო გეგმის დამტკიცების თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: დამტკიცებულ იქნეს საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2017 წლის სამუშაო გეგმა

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა